პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 შაბათი 21 მაისი № 118 (16858) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დიდება შრომას!

საქართველოს სახელოვანი მუშათა კლასის რიგებს კიდევ ორი გმირი შეემატა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ზურაბ სარალიძეს და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს ოთარ ლომიძეს.

ეს საპატიო წოდება ჩვენმა სახელოვანმა მუშებმა 1976 წლის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერებისა და ნაწარმის ხარისხის ამაღლებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დაიმსახურეს.

მოგილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

სოციალისტური შრომის გმირი ხარატი ზურაბ სარალიძე.

სოციალისტური შრომის გმირი მეფოლადე ოთარ ლომიძე.

20 მაისი

„კავკასიელი“ ეროვნული მოძრაობისა

რაც დრო გადის, სულ უფრო ძლიერდება სოციალიზმის მზარდი გავლენა საერთაშორისო ცხოვრების მიმდინარეობაზე, იზრდება ხალხთა მასების, მშვიდობის და პროგრესის ძალების აქტივობა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

„მიღწეული წარმატებანი, — წერს გაზეთი მოწინავე წერილში, „მშვიდობა მილიონების მიზანია“, — გადამწყვეტ წილად საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შედეგია. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო და მისი შეთაური ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დაუცხრომლად და მიზანსწრაფულად მუშაობენ პარტიის XXV ყრილობაზე მიღებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის განსახორციელებლად.

ლენინური პარტიის აქტიურ, ძმედით საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა ადამიანები, როგორ ლენიც სოლიდარობას უცხადებენ ყველას, ვინც იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმისა და განიარაღებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალისტური პროგრესისათვის, ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და მეგობრობისათვის“.

გაზეთის ფურცლებზე მკითხველი ინტერესით გაეცნობა მრავალფეროვან საკავშირო, უცხოეთის და სპორტულ ინფორმაციას.

ЗА ПРАВДА

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წლის ნახევარი ისე დავამთავროთ, რომ არა გვყავდნენ ჩამორჩენილნი

დღითიდღე იზრდება ჩვენს რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც გამოწვეულია დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადებით. მას მკაფიოდ მოწმობს ხუთწლედის მორიგი მეჯნების წარმატებით დაძლევის შესახებ მოწინავეთა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების მრავალი პატაკი, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის ზრდის ტემპის დაჩქარების, საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების გრაფიკის გასწრებით საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ მოწინავე კოლექტივებიდან მოსულ ცნობებშიც.

საქართველოს მშრომელთა მხურვალე მისწრაფებას, რომ ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს, მოწმობს ქალაქ ქუთაისსა და თბილისის პირველი მაისის რაიონში შობილი იმ პატრიოტული ინიციატივის სულ უფრო ფართო გავრცელება, რომ წელს იმუშაოს ისე, რომ არ მყავდეთ სამრეწველო საწარმოების ჩამორჩენილი კოლექტივები, ყოველთვიურად გადაჭარბებით შესრულონ საგეგმო დავალებანი. ეს ინიციატივა რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის ლოგიკური განვრცობა და განვითარება იყო, რომელებმაც ერთი წლის წინათ დაიწყეს შეჯიბრება დევიზით „არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“.

საქართველოს სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოთა მუშაობის შედეგები მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში მოწმობს, რომ ორგანიზებრივი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა, რომელიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს, ხელს უწყობს სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულების უმნიშვნელოვანი მაჩვენებლების მკვეთრ გაუმჯობესებას. შესამჩნევად შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებდნენ. მიღწეულია მატების სწრაფი ტემპი მშენებლობაში, განსაკუთრებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიხედვით, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, პროფესიონულ-ტექნიკური სასწავლებლების, საბავშვო ბაღების მშენებლობაში. პირველ კვარტალში უზრუნველყოფილი იყო საიჯარო სამუშაოთა გეგმის, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება მთლიანად რუსპუბლიკაში.

ყოველივე ეს რწმენას გვმატებს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებები უზრუნველყოფს, რომ რესპუბლიკამ წლის პირველი ნახევარი ისე დაამთავროს, რომ არ მყავდეს ჩამორჩენილი საწარმოები, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესასრულოს საგეგმო დავალებები, გაზარდოს ტემპი, რომელიც სოციალისტურ ვალდებულებებს აღემატება. მშენებლობაში არის რეალური შესაძლებლობა, რომ უზრუნველვყოთ გვნიჯარისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნახევარი წლის გეგმის შესრულება, გავანაღდოთ საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელთა დაწესებულებების, სპეციალური დაწესებულებების, საწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად სახსრების საექსპლოატაციოდ გადაცემის დადგენილი დავალებანი, ავითვისოთ გამოყოფილი ასიგნებანი.

ამასთან, ბევრი სამრეწველო საწარმო, ოთხი თვის გეგმის შესრულების მიუხედავად, ვერ მუშაობს ხტაბილურად და თუ სათანადო ყურადღებას არ დაუთმობენ, შეიძლება ჩაშალონ წარმოების მოცულობის შესრულების გეგმები. ბევრი საწარმო ჯერ კიდევ ვერ ასრულებს პროდუქციის რეალიზაციისა და შრომის ნაყოფიერების გეგმებს. აპრილი გაფარესდა სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობა, რის შედეგად ოთხი თვის საშენებელო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 97 პროცენტით შესრულდა. ჩამორჩენია საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღების, მეცნიერების დაწესებულებების შენებლობის ხახსრების ათვისების მხრივ. უმნიშვნელოვანეს ასაოქმედებელ მშენებლობებზე ოთხი თვის პროგრამა შესრულდა მხოლოდ 98-დან 42 ობიექტზე. გენსაიჯარო სამუშაოების გეგმის შესრულებაში ჩამორჩენიან რესპუბლიკის ისეთი წამყვანი სამშენებლო ორგანიზაციები, როგორიც არის „მშენებლობის სამინისტრო, „საქმელიორაცია“, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო.

ყველა ეს საკითხი განხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ამასთან რაოდენ რეალურია, რომ რესპუბლიკამ წლის პირველი ნახევარი ისე დაამთავროს, რომ არ იყოს ჩამორჩენილი საწარმოები და მშენებლობაში მოიპოვოს ახალი წარმატებები, ხაზი გაუსვა, რომ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, საეურნეო ორგანოებმა ამ მიზნის მიღწევისათვის წლის პირველი ნახევრის დამთავრებამდე საჭირო დროზე უნდა განაზორციელონ განსაკუთრებული, დამატებითი ღონისძიებანი.

ცენტრალურმა კომიტეტმა ამასთან დაკავშირებით მიიღეს გადწყვეტილებანი ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს უჩრნა განაზორციელონ ღონისძიებანი სამშენებლო-სამონტაჟო და გენსაიჯარო საგეგმო დავალებათა უთუო შესრულებისათვის, გაატარონ ღონისძიებანი კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ საცხოვრებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოების, სკოლების, პროფესიონულ-ტექნიკური სასწავლებლების, სპეციალური დაწესებულებების, საწარმოო და სახოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად სახსრების საექსპლოატაციოდ გადაცემის დადგენილ დავალებანი; ავითვისონ ამ ობიექტებზე თვითეული შრომითი კოლექტივის, მისი ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ღირსების საქმეა. საიუბილეო წლის პირველი ნახევრის ღირსეულად დამთავრება საუკეთესო საჩუქარი იქნება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის. (საქინფორმი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდის 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali „ჩაქუჩი და ფერფლი“:

გიორგი მიხეილის ძე **ბისტროვს** — ჩერეპოვეცის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მექანიკოსს, ვოლოგდის ოლქი.

ვლადიმერ ნიკიტას ძე **დოვგალს** — „კიროვასმადნის“ საწარმოო გაერთიანების მბურღავთა ბრიგადირს, დნეპროპეტროვსკის ოლქი.

ვასილ მიხეილის ძე **ერმოლოვიჩს** — სოფლოლეგის-სარბაიოლის ვ. ი. ლენინის სახელობის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ექსკავატორის მემანქანეთა ბრიგადირს, ყირეხანის ოლქი.

ოთარ ალექსანდრეს ძე **ლომიძეს** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს, საქართველოს სსრ.

ვასილ თენგიზის ძე **ზაზოს** — დნეპროპეტროვსკის პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს.

ვასილ ივანეს ძე **ოსიპოვიჩოს** — მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ცხელი გლინვის დგნის მართველ პოსტის ოპერატორს, ჩელიაბინსკის ოლქი.

ივანე დიმიტრის ძე **ჩერნიაკს** — ყდანოვის ილიჩის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს, დონეცკის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ბიორკაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1977 წ. 12 მაისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობისა სამინისტროს საწარმოთა მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1976 წლის გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში მიღწეული თვალსაჩინო საწარმოო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali „ჩაქუჩი და ფერფლი“:

ზურაბ გიორგის ძე **სარალიძეს** — თბილისის სს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატს.

ნიკოლაზ პეტრეს ძე **ჩუდენკოს** — სევერდლოვსკის სარსტრუმენტო ქარხნის მხეხავს, სვერდლოვსკის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ბიორკაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1977 წ. 12 მაისი.

მუშა, დეპუტატი, მოღვაწე

გუშინ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის № 5 საინსტრუმენტო საამქროს ერთ-ერთ ჩარხთან განხდა ახალი წარმოება: აქ მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხარატი ზურაბ სარალიძე. ხარხის პატრონი ამ დროს სამუშაო ადგილზე არ ყოფილა. იგი, როგორც საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი საზოგადოებრივ საწყისებზე, პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე იყო წასული, მაგრამ მისი ჩარხი მაინც გუგუნებდა.

კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი ხარატი, ბერი ხელმძღვანელობს, უნიერსალი მოშებისაგან შედგება და ბრიგადის წევრები თავიანთი დამრიგებლის, ხელმძღვანელის და აღმზრდელის ჩარხს ასეთ დროს ყოველთვის შეთავსებით ამუშავებენ...

— დღეს ალბათ განსაკუთრებული დღეა არა მარტო ჩვენი ბრიგადისთვის, არამედ ჩვენი ბრიგადის ყველა წევრის ცხოვრებაში, — ბრძანა ხარატმა გიორგი ბაშაძეკენ, რომელიც ჩარხთან ტრიალებდა, — ამ შესანიშნავი მუშაკის თავდადების ესოდენ დიდი დადასება, თვითეული ჩვენგანის შრომის აღიარებასაც ნიშნავს, რადგან ყველანი საერთო საქმეს ყოველთვის როგორც ერთი ისე ვიკეთებდით, ერთი მიზანი გვქონდა და გვაქვს, რომ რაც შეიძლება უკეთ, რაც შეიძლება ხარისხოვნად შეასრულოთ დავალებანი.

1951 წლიდან შრომობს ზ. სარალიძე ჩვენს კოლექტივში. ბორკომის პროფტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შეუდგა თავის მოღვაწეობას. მის გვერდით ექვსობის წლების მანძილზე და არ ყოფილა წელიწადი, რომ მას რაიმე ახალი, სამაგალითო თაოსნობა არ გამოეჩინოს. მან პირველმა გააფართოვა თავისი სამუშაო ზონა, პირველმა გაგვიზიარა რამდენიმე ჩარხთან მუშაობის ფამოცდილება, პირველმა გამოიყენა ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდები, პირველმა მოიპოვა ჩარხებისათვის საჭირო სამარჯვების, ინსტრუმენტების, ტალიფრების ოდეოლიტოდ დამზადების და პირველი წარდგენისთანავე ჩაბარების უფლება, პირველმა მიღო მათზე „პირადი დამღის“ დასმის უფლება.

— პატიოსანი შრომა ყოველთვის ჩემს პირად მოქალაქეობრივ მოვალეობად მიმაჩნია. უდიდეს მადლობას ვუძღვნი პარტიასა და მთავრობას, ჩემს სამშობლოს, რესპუბლიკას, შრომელთა კოლექტივს, რომ ასე დიდი შეფასება მისცეს ჩემს ესოდენ მცირე დამსახურებას. თუკი რამ ცხოვრებაში სახარგებლო გამიკეთია, უპირველეს ყოვლისა ეს ჩემი შშრომელთა კოლექტივის დამსახურებაა, სადაც გვეიზარდე და შრომის სიყვარული ვიხილეთ, — გვითხრა ზურაბ სარალიძემ, გუშინ, როცა სოციალისტური შრომის გმირობა მიეულოცეთ.

ასეთია ზურაბ სარალიძე — სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საზოგადოებრივ საწყისებზე საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, სკკპ XXIV და XXV ყრილობების დელეგატი, მუშა და საზოგადო მოღვაწე.

რ. ჰელიძე.

გმირი და მისი კოლექტივი

მაინც, რა უცებ მოვიდა ხოლმე ხალხს ახალი ამბავი! ახლა აქ ყველას ლომიძის სახელი აკერია პირზე.

ავტობუსი ქარხნის ასფალტზე მისრიალებს ლადდ ტორტებგამოლილ ხეივნების ჩრდილში.

— დღეანდელი დღე, — თქვა ოთარ ლომიძემ, — მეტად ნიშანდობლივი და სიმბოლურია. ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა დაემთხვა ერთმანეთს. ერთის მხრივ ამ დაუვიწყარი თაოსნობის — დისციპლინის მუშაობი გარანტია, — სახელოვანი ერთი წლისთავი, რომელიც აქ, ჩვენს ქარხანაში, ჩვენს საამქროში ჩაისახა, გაიზარდა და შემდეგ მთელი ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივად იქცა, ხოლო მეორე მხრივ, ქართველი მუშის, მთელი ჩვენი კოლექტივის გარჯისა და ღვაწლის აღიარება — ჩემთვის სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მონიჭება. ამ დიდი აღიარებისათვის უფრმეს მადლობას მოვახსენებ შშობლიურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას.

ოცი წლის წინათ მან ქარხნის საბაზო № 3 პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა, მას შემდეგ მეტალურგიულ ქარხანაში მეფოლადის დაგმანიც იყო, მეფოლადეც, ოსტატიც, უფროსი ოსტატიც, ცვლის უფროსადაც ფუშუნალ. ეს არ გვიკვნებიდოდა მისი ერთ-ერთი. მასწავლებელი ამბობდა ვეტერანი, ორი ორდენის „ვალერი, მეტალურგი ეფა გიგიბერია, — ოთარი ყოველგვარი ქების ღირსია, მას აქ ბადალი არ მოეპოვებიო.

მაღალკვალიფიციური და მაღალშედეგნელი, თანამედროვე და განათლებული მუშის გზამ მიიყვანა ოთარ ლომიძე ამ დიდებამდე — იგი იყო სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, მინდობილი აქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია, არის მრავალი თაოსნობის წამომწყები და მონაწილე.

მისი ბრიგადა მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს აჩენებს. მარშან, სახელმწიფო დავალება 102,6 პროცენტით გაანადა და სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი 600 ტონის ნაცვლად, 1.162 ტონა ფოლადი გამოუშვა.

1976 წლის 15 ოქტომბერი დაუვიწყარი დღეა ო. ლომიძის ცხოვრებაში. ამ დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისაგან, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისაგან მან ბოლოთბილი შეფასება მიიღო. წერილით აღფრთოვანებულმა ო. ლომიძემ ქარხნის კოლექტივს მოუწოდა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება გაეჩაღებინა. თვითონაც ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა. ამ ვალდებულების ანგარიშში წლევანდელი ოთხი თვის მონაცემებით, მისმა ბრიგადამ უკვე 200 ტონა ზეგეგმითი ფოლადი მისცა დიდა-სამშობლოს.

ასეთია სოციალისტური შრომის გმირი ოთარ ლომიძე, ასეთია მისი საქმეები.

ს. ხარაზიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



დღეს პირველი შაბათობაა!

2 ათას ტონაზე მეტი სენაჟი!

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საკვების დამზადების ერთთვიურის მორწყობის შესახებ საქმიანი გამოხმაურება ჰპოვა ახალციხის, ქალაქებსა და სოფლებში.

თუ როგორ მოეწყობა პირველი შაბათობა კრემოდ ბალის რაიონში, ამის შესახებ კი რა გვითხრა სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა რ. შონიამ:

ხუთშაბათის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 40 ჰექტარზე გათიბავენ შვრიის ნათესებს და დასასენაჟეულად გადაზიდავენ სოფელ ნაბაკევის მეცხოველეობის კომპლექსში. განახლების სამეურნეოთა-თაშორისო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში შაბათობის დღეს აიღებენ შვრიის მწვანე მასას 10 ჰექტარზე, რომელსაც ასევე ჩიდებენ ნაბაკევის მეცხოველეობის კომპლექსის ტრანშეებში. მთლიანად რაიონში ერთთვიურის პერიოდში ჩაიდება 2.000 ტონაზე მეტი სენაჟი.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საკვების წლინახევრის მარაგი

წითელწყარო. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის, ხელმძღვანელი მეურნეობის, რაიონის სოფლის მეურნეობის მთავარი სპეციალისტების მონაწილეობით შეიქმნა პირუტყვის საკვების შეგროვებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის შტაბი.

საკვების დაგროვების ერთთვიური რაიონში საერთო-სახალხო საქმედ არის გამოცხადებული. სოფლის მშრომელებთან ერთად მასში აქტიურად მონაწილეობენ საწარმოო-დაწესებულებათა მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა. მარტო მათი ძალებით წელიწადს 3.000 ტონამდე ეხეში საკვები — თივა და ნამჯა დაგროვდება.

პირუტყვის საკვების შეგროვების პირველი დიდი შაბათობის დღეს — რაიონში გვითიბება 500 ტონაზე მეტი ბალახი. მისგან ერთდროულად დამზადდება სენაჟი, თივა, თივის ფქვილი.

პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგისათვის ბრძოლა დაიწყო.

ვლ. მჟედლიშვილი.

ცელთან ერთად კომბაინი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). საიუბილეო წელს ზუგდიდელი საკვებმომპოვებლები 13 ათას ტონა სენაჟს დაამზადებენ, რაც გეგმას დიდად აღემატება. რაიონში სასენაჟოდ დათესილი შვრია 1.500 ჰექტარზე ბიბინებს. სენაჟის ჩადება დაიწყეს ახალსოფლის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე კ. კალანდია) ინგირის სტალინის (თავმჯდომარე ბ. ქარჩავა), ალეთის მარქსის (თავმჯდომარე ჯ. გუგუჩია), ახალკახეთის გზეთ „პრავდის“ (თავმჯდომარე კ. სვირიდა) სახელობის კოლმეურნეობებმა.

შაბათობის პირველ დღეებში მცელავებთან ერთად სასენაჟე მასის ასაღებად იმოქმედებს 30 კომბაინი და ათასობით ტონა შვრიას ტონაზე მეტი ბალახი. ერთდროულად დამზადდება სენაჟი, თივა, თივის ფქვილი.

ამ ფაქტორებმა ... ტონაზე მეტ ... ...

19 ივნისი

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

მზადება არჩევნებისათვის

ლენინის რაიონში

ლენინის რაიონი. ლამაზად არის გაფორმებული 49-ე და 52-ე საარჩევნო უბნები (ციმბირი, ოთხმოდმარიები ო. კოგზარიძე, ო. თოლორაია) და ავიტპუნქტები, რომლებიც ეგზალის ბაზტკეცილზე 76-ე, და პლოსტმასის ქარხნის საბავშვო ბაღების შენობებშია მოთავსებული. აქ დღის ყოველ მონაკვეთში ხალხმრავლობაა, ამომრჩევლები სპეციალური მოსაწვევი ბარათების საშუალებით კარად იცნობენ იმ კეთილსინდისიერ ადამიანებს, რომლებიც მათთან მოეწყობა ამ პოლიტიკური კამპანიისათვის მზადების პერიოდში. მშრომელები აგიტპუნქტებში სპეციალურ სტენდებზე „არჩევნებიდან არჩევნებამდე“ იკითხავენ რაიონის მშრომელებს წარმატებებს სხვადასხვა დარგში. ეწყობა შეხვედრები დეპუტატებთან, წარმოების მოწინავეებთან, ომის ვეტერანებსა და ახალგაზრდა ამომრჩეველებთან, დაზუსტებულია სიები, იმართება აგიტსაუბრები.

პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილების, ადრეული ადგილობრივი ძალების ხშირად ეწყობა ლექციათ-მოხსენებები. ამომრჩეველებმა ამას წინათ მოისმინეს იურიდიული მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. ფარეულაძის ლექცია თემაზე „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში“. მანვე მშრომელებს ამომწურავი პასუხი გასცა შეკითხვებზე.

აგიტპუნქტებში შემოღებულია მორიგეობა. ირის კრეტიული შენიშვნებისა და წინადადებების ყუთი, ოფრიდიული ბაჯიდა, სადაც იურისტები ამომრჩეველებს ესაუბრებიან ხოლმე მართლწერისიგისა და მათთვის სხვა საინტერესო საკითხებზე. აქ მშრომელებს შეუძლიათ მოისმინონ აგრეთვე ექიმების და სხვა სპეციალისტების რჩევა-დარიგებანი.

ე. მამალაძე.

საინიმუშო თემატიკა

აგიტატორების, კოლიტინფორმატორებისა და მოძახსენებლების საყურადღებოდ

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის დროს საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში რეკომენდებულია გამოიყენონ ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების საინიმუშო თემატიკა:

1. მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალისტური დემოკრატიის არსისა და დემოკრატიული ბურუჟაზიისგან მისი ძირეული განსხვავების შესახებ.

2. სოციალისტური საზოგადოების პიროვნების ნამდვილ უფლებათა და ვალდებულებათა საზოგადოებაა.

3. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები სახალხო ხელისუფლების ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანოებია.

4. სკკპ XXV ყრილობა სამეურნეო მშენებლობაში საბჭოების როლის ამაღლების შესახებ.

5. საბჭოების როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

6. საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმი.

7. საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარება.

8. საბჭოების როლი წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმაში.

9. კანონები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ძირითადი უფლებებისა და ძოვალეობების შესახებ და მათი მნიშვნელობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საბჭოების როლის ამაღლებისათვის.

10. საბჭოთა მოქალაქეების უფლება-მოვალეობათა ერთიანობა.

11. სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტი.

12. არჩევნებიდან არჩევნებამდე (არჩევნებს შორის პერიოდში რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ).

13. ამომრჩეველთა განაწესების შერულება საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

14. საბჭოების როლი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიის კურსის განხორციელებაში.

15. თვითეული კოლექტივის პატრიოტული ვალია წარმატებით შეასრულოს მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმები და ვალდებულებები. შეხვდეს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ახალი შრომითი წარმატებებით.

ალზრდის სკრაპეგია

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი კპრტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში

3 პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში დადგა ყოვრისად დიდმნიშვნელოვანი პერიოდი — დაიწყო შემაჯამებელი მეცადინეობანი პარტიულ. კომკავშირულ და მასობრივ-ეკონომიკური განათლების სისტემაში. წლევანდელი სასწავლო წელი განსაკუთრებულია იყო, ეგი მიმდინარეობდა სკკპ XXV ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის ღირსეული შეხვედრისათვის გაზრდილ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში.

ჩვენი ყოობლიერების ძალა მასეგის შეგნებულობაა! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXV ყრილობის ტრიბუნიდან ნათქვამი ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ყოველისად დამაჯერებლად და მკაფიოდ ადასტურებს, რომ მშრომელთა აღზრდა კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით პარტიის უპირველესი საზრუნავია.

„...ამ ახალ ეტაპზე, რომელსაც პარტია იწყებს, — თქვა სანგარაშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა, — დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ შევნელოთ ყურადღება პარტიულ სწავლებაში კომუნისტთა და უპარტიოთა სულ უფრო ფართო მასების ჩაბმისადმი და ამავე დროს განსაკუთრებით ვიზრუნოთ ამ მუშაობის შინაარსისათვის, მისი თეორიული დონის ამაღლებისათვის. მთელი ჩვენი პარტიული განათლების ქსელის მთავარი ამოცანა მომავალ პერიოდში პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძვლიანი შესწავლაა“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობათი დადგენილება — **„სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“** საფუძველად დადო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას პარტიული და ეკონომიკური განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვისათვის და ითვალისწინებს პარტიის XXV ყრილობის მასალებისა და დოკუმენტების ღრმად, საფუძვლიანად, შემოქმედებითად შესწავლას.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ჩაბმული ყველა მშრომელი უდიდესი ინტერესით და კმაყოფილების გრძნობით გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებას — **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“**. რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ **„მარქსზმ-ლენინიზმი იყო და არის კომუნიზმის ერთადერთი სწორი მეცნიერება, მასების რევოლუციური შემოქმედების პოლიტიკური ხელმძღვანელობის უბადლო ხელოვნება. მარქსიზმ-ლენინიზმის, მისი მძლავრი, ცხოველმყოფელი შემოქმედებითი სულისკვეთების ერთგულება კომუნისტურ მშენებლობაში. მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის ბრძოლაში წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობა და საწინდარია“.**

მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში მშრომელთა აქტივობის კიდევ ერთ ებას მნიშვნელოვნად შეიწყო ხელი ოგრეთვე ისეთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტების შესწავლამ, როგორიც იყო ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის სტატიები და გამოსვლები ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1976 წ.) პლენუმზე, ქ. ტულაში გამართულ ზეიმზე, პროფკავშირთა XVI ყრილობაზე. სპეციალური მეცადინეობანი მიეძღვნა ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის **გენერალური მდგომის თვითეული** გამოსვლა **დიდმნიშვნელოვანი** მოვლენაა **პარტიისა** და **ხალხის** ცხოვრებაში, **საფუძვლად ედება** პარტიული, საბჭოთა, **ხალოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი** კოლექტივების, **იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების საქმიანობას. ნათლად აქვს რა წარმოდგენილი** ლ. ი. ბრეჟნევის **გამოსვლებში მოცემული** თეორიული **და** პრაქტიკული **დებულებების გაცნობის მნიშვნელობა პარტიული** და **საბჭოთა** აქტივის, **მშრომელთა ფართო მასებისათვის, საქართველოს კომპარტიის** ცენტრალური **კომიტეტი,** როგორც წესი, **იღებს** სპეციალურ **დადგენილებას ორგანიზატორული** საკითხები, ეკონომიკური და სოციალური ხასიათისა, **ეკონომიკური** ეფექტიანობა, **ეკონომიკური** ზრდა, **ეკონომიკური** ეფექტიანობა, **ეკონომიკური** ეფექტიანობა, **ეკონომიკური** ეფექტიანობ

ოფიციალური განყოფილება

წიგნი ცოდნის წყაროა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივ კომისიაში

ბაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელზეც მოისმინეს კომისიის წევრის დეპუტატ ნ. ჩერქეზიშვილის მოხსენება რესპუბლიკაში წიგნის ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ შუდმივი კომისიის წევრი დეპუტატი დ. ალექსიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. კალმახელიძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. კობახიძე, გამომცემლობა „მერნის“ დირექტორი ჯ. კალაძე, გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი ხ. ბერუაული, გამომცემლობა „ირისტონის“ დირექტორი ვ. ბესაევი, გაერთიანება „საქწიგნის“ ვაჭრობის განყოფილების უფროსი ა. ჯოკაია.

სხდომაზე მოიყვანეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ რესპუბლიკაში წიგნის ვაჭრობის განვითარებას. მარტო „საქწიგნის“ გაერთიანებაში 116 მაღაზია, 6 ფილიალი, 129 კიოსკი. ცეკავშირის სისტემაში წიგნით ვაჭრობს 95 სპეციალიზებული მაღაზია, 119 კიოსკი, 21 ბავშვიერნი, 54 კულტმაღაზია, შერეული მაღაზიების 564 სექცია. გარდა ამისა, მოწყობილია დატარებითი ვაჭრობა, რომელსაც 60 ავტოფარდული ემსახურება.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სისტემატურად ამარაგება წიგნის კვირეულები, დეკადები, ერთთვიურები, ბაზრობები და სხვ.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ წიგნის ვაჭრობაში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია.

წიგნის ვაჭრობის საწარმოთა ქსელი ნელი ტემპით ფართოვდება, სუსტად ინერგება წიგნის ვაჭრობის პროგრესული ფორმები. საკმარისად არ წარმოებს მაღაზიანი და რეკლამა. არ კმაყოფილდება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება საბავშვო, ტექნიკურ, მეთოდიკურ, იურიდიულ ლიტერატურაზე.

არადამაკმაყოფილებელია ხელმოწერით ლიტერატურის გამოცემა. წლობით ჭიანურდება საბავშვო ენციკლოპედიის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისა და სხვა გამოცემების ბეჭდვა. წიგნის მაღაზიებში ჭირს კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებების შოვნა. ამასთან „საქწიგნის“ სისტემაში ბევრი წიგნი რჩება, რომლებზეც არ არის მოთხოვნილება. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა თემატიკური გეგმებით წიგნებზე წინასწარი განცხადების კატოლოგების შედგენას. ირღვევა ლიტერატურის დანიშნულების ადგილას მიწოდების ვადები.

მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დროულად არ გამოიყოფა ნაკვეთები წიგნის მაღაზიების შენებლობისათვის, რის შედეგადაც დაგვიანებულ შენებლობების დაწყება წლობით ჭიანურდება. მთლიანად არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 თებერვლის დადგენილება ახალ საზოგადოებრივ შენობებსა და საცხოვრებელ სახლებში წიგნის მაღაზიებისა და კიოსკებისათვის ფართობის გამოყოფის შესახებ.

ბევრი მაღაზია მოთავსებულია უვარგის შენობებში. იმის გამო, რომ „საქწიგნში“ და ცეკავშირში არ არის განვითარებული სასაუყონო მეურნეობა. ეს ხშირად იწვევს წიგნების გაფუჭებას.

სხდომის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარის, მოადგილემ დეპუტატმა ბ. მახარაშვილმა.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

მოსწავლეს — გემრიელი კერძი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიებში

ბაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მოისმინეს სახალხო განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრის დეპუტატ ზ. ჯაბადარის მოხსენება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა მუდმივი კომისიების წევრებმა დეპუტატებმა ს. დოლიძემ, ა. შარაბიძემ, ო. დოლდაძემ, ა. ბურჯანაძემ, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიების თავმჯდომარემ გ. ბებუნიამ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ უ. ობოლაძემ, რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ გ. ხელაძემ, ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ვ. ქადეიშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ ამ ბოლო წლებში შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვება რამდენადმე გაუმჯობესდა.

რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში განმტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი კვების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიხსნა ქვითლმოწყობილი სასადილოები.

ამავე დროს, სხდომაზე ხაზს უსვამდნენ, რომ მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვება ჯერჯერობით არ არის დაყენებული თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. მას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სასკოლო კვების კომბინატის შემოწმებისას გამოირკვა, რომ 129 შემოწმებული კერძიდან ტექნოლოგიის დარღვევით მომზადებულია 50, ანუ 38,3 პროცენტი, ლენინის რაიონის კომბინატში — 31 პროცენტი, საქართველო რაიონისა — 25 პროცენტი, ოქტომბრის რაიონისა — 26 პროცენტი.

მოსწავლეთა უზრუნველყოფა ცხელი კერძებით ხუთ პროცენტს არ აღემატება. სასადილოები არ არის აჭარის, ქალაქ ფოთის, გორის, ბორჯომის, თელავისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონებისა და ქალაქების სკოლებში.

ბევრი სკოლის სასადილო და ბუფეტი არადამაკმაყოფილებელ სანიტარიულ მდგომარეობაშია. ყველგან არ არის მოწესრიგებული კომპლექსური საუზეიტანოს და სადილების გაყიდვა, დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა კვება უმეტესად კლასებში და სხვ.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებს სკოლებში ცუდად ამარაგებენ წვრილად დაფასოებული პროდუქტებით.

ბავშვთა კვების საკითხები ჯერჯერობით არ გამხდარა სკოლის დირექციების, მეიერი პედაგოგიური კოლექტივების, მშობელთა კომიტეტების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და ვაჭრობის ორგანოების ყოველდღიური ზრუნვის საგანი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა არ ატარებენ ჯეროვან ღონისძიებებს სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გაერთიანებული სხდომის შედეგები შეაჯამა სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ჩხეიძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება. (საქინფორმი).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში

16-20 მაისს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში — ქალაქ პრაღაში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მფლობელ სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს მორიგი სხდომა.

სამხედრო საბჭომ გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ვ. გ. კულიკოვის თავმჯდომარეობით განიხილა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მომდინარე საქმიანობის საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ მოკავშირე არმიებისათვის, და მიიღო ამ საკითხებზე შესაბამისი რეკომენდაციები.

საფრანგეთში საბჭოთა სამხედრო ხომალდების ვიზიტის გამო

სსრ კავშირისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ურთიერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი, რომლის შემადგენლობაში შედიან სსსკავლო ხომალდი „სმოლნი“ და საუსკალარო ნაღმსაწმენდი „ეკვაზი“ ბრიტანეთის წითელდროშოვანი ფლოტის სარდლის ფლოტის ადმირალის ე. ბ. ტაბერის ოფიციალურ ვიზიტზე ბრესტში ჩავიდა.

ადმირალ ტაბერ-ბერტელ-ბერტელ ლაპარაკი საზღვარგარეთ ადამიანის მოქალაქეობრივ უფლებათა დარღვევების შესახებ, არადა, დღეს სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია ის ქვეყანა, სადაც ამ დარღვევებმა ყველაზე გაფაფეთ ალი სამში ახე მიიღო.“

მე-10 საკავშირო კინოფესტივალი

1977 X რიგა

ფესტივალის დიდი ეკრანი

რიგა, 19 მაისი. (საკდესის კორესპონდენტები ე. ხორავა, ა. ბაკალოვი). ყოველ გაზაფხულზე საბჭოთა კინემატოგრაფისტები აბარებენ სიმწიფისა და ოსტატობის გამოცდას, განსაზღვრავენ შემდგომი მხატვრული ძიების მიმართულებას. ასეთი შეხვედრები კარგ ტრადიციად იქცა. ლენინგრადი, კიევი, მინსკი, თბილისი, ალმა-ათა, ბაქო, ქიშინიოვი, ფრუნზე — საკავშირო ფესტივალს ესტაფეტა მიმდინარეობს როგორც მრავალეროვნული სოციალისტური ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული.

ამჯერად ჩვენი კინემატოგრაფის ცენტრი გახდა ლატვიის დედაქალაქი. რიგა ფულთადად მასპინძლობს X საკავშირო ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს. მისი მთავარი ნიშანი ის არის, რომ ეკრანის ოსტატთა წლევანდელი შეჯამებიდანი ანგარიში მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ. ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ადამიანები წარმატებით წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს და სამართლიანად მოელიან კინემატოგრაფისტებისაგან ახალ, მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, რომლებიც მკაფიოდ ასახავენ ჩვენს სინამდვილეს.

ვრცელია კინოდათვალიერება — 77-ის პროგრამა — 150-ზე მეტი მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, მულტიპლიკაციური ფილმი და კინოჟურნალი. საკონკურსო ფილმებს შორისაა მაღალი მოქალაქეობრივი იდეალებით გამსჭვალული ჰეროიკულ-პატრიოტული ფილმები; თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილი კინოსურათები; პიროვნების ფორმირების, ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესების ამსახველი ნაწარმოებები.

პირველ დღეს ფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. საღამოს სპორტის სასახლეში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა X საკავშირო კინოდათვალიერება. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. კრუმინმა ეკრანის ოსტატებს დიდი შემოქმედებითი წარმატებანი ესურვა.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგიული მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების რიგის საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი.

ზეიმზე გამოვიდა სსრ კავშირის საჰანოს თავმჯდომარე თ. ტ. ერმაში.

X საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც აღუთქვეს, რომ საბჭოთა კინოხელოვნების მოღვაწეები კვლავაც პარტიის ერთგული თანამეშმეწილე იქნებიან კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

საიუბილეო ფესტივალის ალაში აღმართეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვია არტმანემ და ნიკოლოზ კრიჩევსკიმ. მაყურებლებს წარუდგინეს შემოქმედებითი ეიური. საზეიმო საღამო დამთავრდა დიდი თეატრალიზებული წარმოდგენით „ამბანაგი კინო-77“, რომელშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკების მსახიობები მონაწილეობდნენ.

□

საკავშირო-თეორიული კონფერენცია

დიდი ოქტომბრის მე-60. წლისთავთან დაკავშირებით ჩხოროწყუს რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის გაიმართა სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც მთაწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტისა და პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის ლექტორთა ჯგუფმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ.

მოისმინეს მოხსენებები: „ლენინური პარტია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორი“ (პროფესორი გ. ეკანია), „სკკპ ეკონომიკური სტრატეგია, ტაქტიკა და მეათე ხუთწლედის თავისებურებანი“ — (დოცენტი პ. ლემონჯავა), „საბჭოთა ადამიანი სოციალიზმის მთავარი დირებულებაა“ (პროფესორი ვ. კალანდარიშვილი), „ადამიანის შრომითი და ინტერნაციონალური აღზრდა“ (საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი ნ. პაპასკირი).

კონფერენციის მონაწილეებს გაეცნეს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი, რომელიც ლექტორთა ჯგუფმა უნდა განახორციელოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და პარტიის ჩხოროწყუს რაიკომთან ერთად. (საქინფორმი).

საკდესი

ტელეტაიპი გადმოგვცემს

მსოფლიოს ამბები

სსრ კავშირი—ფინეთი

თანამშრომლობა, ურთიერთგაგება

ჰელსინკი. (საკდესი). ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აქ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის 1990 წლამდე სავაჭრო-ეკონომიური, სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების გრძელვადიან პროგრამას, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში.

ფინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც თითქმის 60 წლის მანძილზე თანამიმდევრულად იღებს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, ნათქვამია, კერძოდ, განცხადებაში, მიესალმება ამ დოკუმენტის ხელმოწერას როგორც იმ პოლიტიკის ახალ მნიშვნელოვან გამარჯვებას, რომელსაც საფუძვლად უდევს სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განვითარებისა და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის, აგრეთვე ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების ქვაკუთხედი გახდა.

ახალი გრძელვადიანი პროგრამა, აღნიშნულია განცხადებაში, სხვადასხვა სოციალური და სამეურნო სისტემის, სახელმწიფოთა თანამშრომლობის პირველი პროგრამაა.

ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ორი სახელმწიფოს ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გზაზე იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც გამოცხადებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტში. იგი კარგი მაგალითია ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვის, ხაზს უსვამს ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

ამ პროგრამით დასახული ახალი შესაძლებლობების განხორციელება მოითხოვს სახელმწიფო მოღვაწეების, მთავრობის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფინეთის ყველა შრომელის მუდმივ მეცადინეობას, აღნიშნავს დასასრულს ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

დიდი მაღლობა

ნიკოზია. (საკდესი). ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებთ საბჭოთა კავშირს კვიპროსის საკითხში კონსტრუქციული პოზიციისა და მხარდაჭერისათვის, რომლებსაც საუფლოდან უდევს დემოკრატიული და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, განაცხადა კვიპროსის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა „სსრ კავშირ-კვიპროსის“ საზოგადოების დელეგაციასთან შეხვედრისას, რომელიც მონაწილეობას იღებდა კვიპროს-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მე-5 კონგრესის მუშაობაში. ჩვენ, ხაზი გაუსვა მან, ვიბრძვით კვიპროსის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც ამაოდ ცდილობდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ყურადღება მიეპყრო თავისი ბედისადმი. როგორც ინვალიდი, რ. ტაუნსი სამედიცინო დახმარებას საჭიროებს, მაგრამ ამის ფული არა აქვს. „ყველა ზემი თხოვნა დახმარების შესახებ უყურადღებოდ დარჩა“, — აღნიშნავს რ. ტაუნსი სსრ კავშირის ვაშინგტონის სელჩოსათვის გაგზავნილ წერილში.

ამერიკელი (ოჰაიოს შტატი) ბ. მოლინო წერს, რომ ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმით უნდა დაეწყო, რომ ეზრუნა მილიონობით ამერიკელისათვის, რომლებსაც არა აქვთ საშუალება იმკურნალონ საავადმყოფოებში, დიეცვა მოხუცთა უფლებები, რომლებიც მელიც გაითვალისწინებდა კუნძულის მთელი მოსახლეობის ინტერესებს. სწორედ ამიტომ კვიპროსის მთავრობამ პირველმა მიიღო საბჭოთა კავშირის წინადადება გენერალიბეული ერების ორგანიზაციის ფარგლებში კვიპროსის შესახებ წარმოდგენლობითი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე.

კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა „სსრ კავშირ-კვიპროსის“ საზოგადოებისა და კვიპროს-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქმიანობას კვიპროსსა და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის.

დაბნეულები უნდა გადმოგვცენ

კარაკასი, 20 მაისი. (საკდესი). როგორც ვენესუელის გაზეთი „ნასიონალი“ გვაცნობებს, ადგილობრივ ხელისუფლებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან არ მოუღია ინაფორმაცია, რომ გაშინგტონმა გადაწყვიტა ვენესუელაში გასახლოს ორი ცის მეკობრე, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს საბჭოთა კავშირში და თავს აფარებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

„ინტერპოლის“ ხელმძღვანელმა კარაკასში სესარ კერო მორალესმა განაცხადა, რომ ინტერპოლიის განზრახული გასახლების შესახებ. მან დასძინა, რომ ეს შეუძლებელად მიანნია, რადგან აღნიშნული პირები ვენესუელელი მოქალაქენი არ არიან.

ეს ინფორმაცია გაზეთში გამოქვეყნდა „ან-24“ საბჭოთა თვითმფრინავის „კაბინის წერილზე თეთრი სახლის პასუხის გამო. ამ წერილში ეკითხება მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირს გადასცეს ცის მეკობრეები — მამა-შვილი ბრაზინსკასები. შეიდი წლის წინათ მათ ხელი ეიდეს სამგზავრო თვითმფრინავზე, მოკლეს ბორტგამცილებელი ნ. კუზიბერკო და დაეშვნენ ფრანგეთში.

თეთრი სახლის პასუხში „მკაცრად ეკრძალებოდა, რომ არ აპირებს სისხლის სამართლის დამნაშავეების საბჭოთა სასამართლოსათვის გადმოცემას.

საკდესი

ყოველი ესრიდან

პოლიციის „დასახმარებლად“

● **ლონდონი.** ინგლისის არმიის დამატებითი კონტინგენტები, რომლებიც ოლსტერში შეიყვანეს პროტესტანტი ექსტრემისტების მიერ გამოცხადებული „საყოველთაო გაფიცვის“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, პროვინციაში დარჩებიან. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია მიუხედავად იმისა, რომ ულტრების პროვოკაციული გამოსვლა ჩაიფუშა. როგორც ინგლისის ჯარების სარდლობამ გამოაცხადა, აღნიშნული ნაწილები დაეხმარებიან პოლიციას „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ავსტრიელთა პროტესტი

● **ვენა.** ნეიტრალური ავსტრიის დედაქალაქში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის მეთაურის ფორსტერის ყოფნის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი განაცხადეს მიტინგის მონაწილეებმა, რომელიც გაბრთა ავსტრიის „აპარტეიდის წინააღმდეგ მოძრაობამ“.

მიტინგზე მიღებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 18 მილიონი მკვიდრი მცხოვრები დამონებულია და ძირითად უფლებებს მოკლებულია. ათასობით ადამიანი სასაკმრეში ზის. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, აგრეთვე განმათავისუფლებელი მოძრაობები ცნონ აფრიკელი მოსახლეობის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად კონტინენტის სამხრეთ ნაწილში.

ბიუჯეტი დაამტკიცეს

● **ვაშინგტონი.** კონგრესმა დაამტკიცა ამერიკის შეერთებული შტატების 1977-78 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი. სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცეს კომპრომისული რეზოლუცია, რომელიც გასავლის ნაწილს აწესებს 396,3 მილიარდი დოლარის ოდენობით. ამრიგად, გასავალი შემოსავალს გადააჭარბებს 64,65 მილიარდი დოლარით.

ბიუჯეტის ეს ოდენ დიდი დეფიციტი განპირობებულია უწინარეს ყოვლისა მზარდი სამხედრო ხარჯებით, რომლებიც მომავალ საფინანსო წელს 118,5 მილიარდ დოლარს შეადგენს მიმდინარე წლის 113 მილიარდ დოლართან შედარებით.

პრიზისი, უმუშევრობა, ინფლაცია

ჯ. კარტერის გამოსვლა

ლოს-ანჯელესი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა აქ ხაოვტომობილო, აეროკოსმოსური მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირის ყრილობაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს.

პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, თქვა პრეზიდენტმა, მართლაც რთულია, და ეს უწინარეს ყოვლისა ეხება კეკონომიკას. მან აღნიშნა, რომ ახლანდელი მოავრობის საქმიანობის დასაყრელში ეკონომიკა, რომელიც სულს ბერუნებდა უკანასკნელი 40 წლის ყველაზე ღრმა დაქვეითების შემდეგ, მოიკოჭლებდა. ეს იყო ეკონომიკა, ხაზი გაუსვა ჯ. კარტერმა, რომელშიც ხალხის ეკითლდღეობა მოქცეული იყო ორი ფაქტორის — დიდი უმუშევრობისა და ინფლაციის მარწუხებში.

პრეზიდენტის აზრით, მდგომარეობა ახლა რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ უმუშევრობის დონე, რომელიც 7 პროცენტს ანუ დაახლოებით 7 მილიონ კაცს შეადგენს, ჯერ კიდევ ძალიან მაღალია. როგორც ცნობილია, პროფკავშირების მონაცემებით, უმუშევართა არმიის ნამდვილი რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა 10 მილიონ კაცს აღწევს.

ჩვენ კვლავ გრძელი გზა მოგველის, ხაზი გაუსვა ჯ. კარტერმა. ინფლაცია ქვეყანას მომავლის იმედს უკარგავს. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები 10 პროცენტით იზრდება წელიწადში.

ინფლაცია, განაგრძო ჯ. კარტერმა, ყველას აწუხებს, მაგრამ ყველაზე მეტად იგი ხელმოკლე ადამიანებს სტანჯავს.

მიუხედავად ამისა პრეზიდენტს არ წამოუყენებია ახალი ინიციატივები უმუშევრობისა და ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში, დასჯერდა მხოლოდ იმ ღონისძიებების ჩამოთვლას, რომელიც მთავრობამ წინათ დასახა ამ მიმართულებით. მათი მიზანი მოკრძალებულია — მიაღწიონ უმუშევრობის დონის მხოლოდ 5 პროცენტით შემცირებას 1981 წლისათვის, შეამცირონ ინფლაციის ტემპი 2 პროცენტით 1979 წლისათვის და უზრუნველყონ შეწონასწორებული ბიუჯეტი 1981 წელს.

ამ მიზნების მისაღწევად, აღნიშნა ჯ. კარტერმა, „მოგვიხდება რამდენიმე ძნელი გადაწყვეტილების მიღება, იმის არწევა, თუ რაზე უნდა დაიხარჯოს გადასახადის გადამხდელთა ფული“. როგორც გვიჩვენებს პენტაგონის ახალი სამხედრო ბიუჯეტის განხილვა კონგრესში, ხარჯები სამხედრო მიზნებისათვის განუზრელად აზრდება და ამჟამად ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე რეკორდულ დონეს — 118,5 მილიარდ დოლარს მიაღწია. ხოლო ასიგნებანი ეკონომიკური და სოციალური პროგრამებისათვის იკუეცება.

პრეზიდენტი შეეხო ალტერნატიულ ენერგეტიკულ კრიზისს, რომელიც მან დაახასიათა როგორც „უდიდესი საშინაო პრობლემა“. მან განაცხადა რომ, თუმცა ნავთობის მარაგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ილევა, ნავთობი, მიუხედავად ამისა, კიდევ მრავალი წლის მანძილზე დარჩება ენერგიის ძირითადი წყარო. შედეგად, განაცხადა ჯ. კარტერმა, „ჩვენ შეიძლება საქმე გვქონდეს ფართო უმუშევრობასთან, დამუდლურებელ ინფლაციასთან, სოციალურ და პოლიტიკურ არასტაბილურობასთან დაეზიზღოს ჩვენი მოქმედების თავისუფლება საერთაშორისო საქმეებში“.

ჯ. კარტერმა მოუწოდა ამერიკელებს დაზოგონ ნავთობი და ბუნებრივი გაზი, გადავიდნენ ენერგიის სხვა წყაროებზე. ამ მიზნების მიღწევა, ხაზი გაუსვა მან, ადვილი საქმე არ იქნება. ეს მსხვერპლს მოითხოვს.

თავის გამოსვლაში პრეზიდენტი შეეხო სოციალური დაზღვევის სისტემას ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი ამერიკელი მეტად დიდ გადასახადებს იხდის სოციალური დაზღვევის ფონდებისათვის, მაგრამ მუხეედავად ამისა ეს ფონდები სულ უფრო მცირდება. „სოციალური უზრუნველყოფის ახლანდელი სისტემა, — განაცხადა ჯ. კარტერმა, — ძარცვავს გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც მას მზარს უტარებენ, გულს უკრთებს ამათ, ვინც მას ხელმძღვანელობს და დამამცირებელია ადამიანებისათვის, რომლებსაც ნამდვილად სჭირდებათ დახმარება.

ჯ. კარტერმა ილაპარაკა სამედიცინო მომსახურების სიძვირეზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. საავადმყოფოში მკურნალობის ღირებულება, განაცხადა მან, 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 1.000 პროცენტით.

ეს საინტერესოა

აქლემების ოლიმპიადა

თურქმენეთის ერთ-ერთ სოფლის ახლოს საფიზიკურად გამოწყობილმა მეცხოვრეებმა ცენტრალურ მოედანზე მოიყარეს ცენტრალური ოლიმპიადა. მოედნის ცენტრში ამაყად თავაწეული ორი აქლემი ერთმანეთის პირისპირ იდგა. მათ ვერცხლით მოკაზმული ყაჯრები ჰქონდათ გადაკიმული, მძიმე უნაგირები ედგათ და ტყავის ალვირზე მრავალი სპილენძის ზანზალაკი წკარუნობდა. გაისმა ჯიბგის ხმა და მკერდგამობუქული ცხოველები ერთმანეთს ეკვეთნენ. დაიწყო ცხარე ორთაბრძოლა. გულშემატკივართა ყიჟინამ ჰაერი შეძრა. ბოლოს ერთ-ერთმა აქლემმა მძლავრი დარტყმით მეტოქე ძირს დასცა. ბრძოლა დამთავრდა. გამარჯვებული, თავისი „მწვრთნელის“ თანხლებით, მაყურებელთა ტაშის გრიალში სპპატიო წრეს უვლის.

ასე იმართება დასავლეთ ანატოლიაში ტრადიციული აქლემების ორთაბრძოლა. იგი ყოველწლიურად ეწყობა თურქეთის ამ რაიონის სოფლებში და არა ნაკლებ პოპულარულია, ვიდრე, ვთქვათ, კორიდა ესპანეთში. შეჯიბრების ამზადებს სპეციალური სორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან სოფლის ყველაზე პატივისცემი უხუცესი ადამიანები. ისინი ადგენენ ბრძოლების გამართვის თარიღს და ბილეთის ფასს. მიეპყრო შემოსავალი, როგორც წესი, ხმარდება იმ თემის სკოლების, მეჩეთების ან გზების მშენებლობასა და რემონტს, სადაც შეჯიბრება ეწყობა.

აქლემების შერჩევნება ჩვეულებრივ იმართება იანვრიდან აპრილამდე. ამ პერიოდში აქლემები თითქმის არაფერს ჭამენ და ძალზე აგრესიულნი ხდებიან. ბრძოლებში მონაწილეობისათვის გულდაგული არჩევენ ყველაზე ძლიერ და გამძლე ცხოველებს 6 წლიდან 8 წლამდე (აქლემის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წელია). თურქეთში გავრცელებული ორკუზიანი აქლემი საკმაოდ ზორბა ცხოველია, მისი წონა ერთ ტონამდეა. თავისი არაბული ერთკუზიანი „თანამომძისაგან“ განსხვავებით, ორკუზიან აქლემს გრძელი ხმირი ბეწვი აქვს, რაც ძირად ფასობს საფეიერო მრეწველობაში.

შეჯიბრება მიმდინარეობს ოთხი დღის მანძილზე „ოლიმპიური სისტემით“, ე. ი. „სუსტები შეჯიბრებას ეთიშებიან“. შეჯიბრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მოედანზე იკრიბებიან ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები, რომლებიც თავიანთ ფავორიტებს ირჩევენ, დებენ ნიძლავს. დღესასწაული იწყება მონაწილეთა პარადით. აქლემები ერთმანეთის მიყოლებით საკმაოდ დიდი მანძილის დაშორებით მიდიან. პირზე ტყავის ალიკაპი აქვთ, რათა მაყურებლები აქლემის შესაძლო კბენისაგან ან ფურთხების

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲐᲦᲛᲨᲠᲓᲔᲚᲘ



ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 75-Ე, ᲮᲝᲚᲝ Სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წელი შეუსრულდა მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს აკადემიკოსს Საერთაშორისო ასოციაციისა და ᲕᲘ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის სექციის წევრს, პროფესორ ივანე ლეონტის-ძე ჯაშს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბევრი რამ გააკეთა ამ მეცნიერმა, იგი იკვლევს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკვანძო საკითხებს, ხელმძღვანელობს მეცნიერული კადრების აღზრდას, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის განხრით.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით და ზრუნვით კათედრამ შემოიკრიბა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის ეკონომიკისა და ორგანიზაციის თეორიულ პრაქტიკულ საკითხებზე.

დიდია ი. ჯაშის დამსახურება სამეცნიერო ჟურნალების, კრებულების დაარსებისა და გაძღოლის საქმეში. იგი ავტორია ორმაშინაარსიანი სახელმძღვანელოსი „სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია“, რომელიც პირველად 1957 წელს დაიბეჭდა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის. 1963 წელს ეს სახელმძღვანელო განმეორებით გამოვიდა. იგი ხელს უწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ამაგდარი პროფესორის ხელმძღვანელობით და ზრუნვით საქართველოში ბევრი მეცნიერი აღიზარდა, რომლებიც დღეს წარმატებით შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. Ი. ჯაშის ხელმძღვანელობით მრავალი აზერბაიჯანელი, სომეხი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი ეზიარა მეცნიერებას, ბევრმა დაიმუშავა საკანდიდატო და საოქტორო დისერტაციები.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და გულსახმიერი პედაგოგი ი. ჯაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში, მრავალი სამეცნიერო აქვს შესრულებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, ანსეიულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. დიდი ცოდნისა და გამოცდილების შედეგად მის შინაარსიან მოხსენებებს ხშირად მოწონება დაუმსახურებია საკავშირო და საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციებსა და კონგრესებზე.

Ი. ჯაში მონაწილეა სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა XII საერთაშორისო კონგრესისა, რომელიც 1964 წელს საფრანგეთში შედგა. ამ კონგრესზე იგი გამოვიდა მოხსენებით — „სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხები მთიანი რაიონების პირობებში“, რომელიც დაიბეჭდა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ოქსფორდის უნივერსიტეტში, იმავე კონგრესის შრომებში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ ი. ჯაშს საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის ჩამოყალიბების საქმეში, ის ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრია და ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას თავისი მაღალკვალიფიციური რჩევით.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს პროფესორ ივანე ჯაშს მოღვაწეობას, იგი დაჯილდოებულია ლენინის, ორი შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ამაგდარი მეცნიერი, გულისხმიერი აღმზრდელი ივანე ჯაში დღესაც შემართებით ეწევა ნაყოფიერ მუშაობას.

პროფესორი პ. ᲔᲚᲔᲜᲘ,
პროფესორი Ა. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲚᲕᲔᲒᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

„ᲡᲐᲕᲐᲠᲜᲝᲒᲝ ᲛᲘᲬᲣᲠᲘ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჟურნალისტთა კავშირისა და ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის ინიციატივით გაიმართა ფრონტელი ჟურნალისტების შეხვედრა, რომლის სიმბოლურ ემბლემად იქცა ორი სიტყვა „საფრონტო მიწური“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დივიზიის, ჯარებისა და ფრონტის გაზეთების მუშაკები, ისინი, ვინც დიდი სამამულო ომის წლებში მოწინავე ხაზის მებრძოლებთან ერთად სუფოდა მტერზე გამარჯვებას. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე რესპუბლიკური და საქალაქო პრესის მუშაკები, რომლებიც წერენ სამხედრო-პატრიოტული თემატიკის საკითხებზე.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სექციის თავმჯდომარემ ვ. სოროკინმა ილაპარაკა ომის წლებში გამომავალი სამხედრო გაზეთების როლზე, სამხედრო ჟურნალისტების მრავალმხრივ და თავდადებულ საქმიანობაზე. შეხვედრაზე გამოსულმა ამხანაგებმა არმიის გაზეთის ყოფილმა მუშაკმა, ამჟამად ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის უფროსმა ი. კეზერაშვილმა, ომისა და არმიის შესახებ რომანებისა და მოთხრობების ავტორმა მწერალმა ე. ფეიგინმა დამსწრეთ უამბეს თუ როგორ მუშაობდნენ ფრონტზე გაზეთების რედაქციებში. რესპუბლიკური გაზეთის „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მ. დავითაშვილმა ილაპარაკა თუ როგორ მუშაობდა წიგნზე ლეგენდარული მე-18 სადესანტო არმიის სარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის კ. ნ. ლესელიძის შესახებ. თავისი ლექსი „ორი ობელისკი“ წაიკითხა პოეტმა შ. ამისულაშვილმა.

(საქინფორმი).

ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲚᲕᲔᲒᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჟურნალისტთა კავშირისა და ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის ინიციატივით გაიმართა ფრონტელი ჟურნალისტების შეხვედრა, რომლის სიმბოლურ ემბლემად იქცა ორი სიტყვა „საფრონტო მიწური“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დივიზიის, ჯარებისა და ფრონტის გაზეთების მუშაკები, ისინი, ვინც დიდი სამამულო ომის წლებში მოწინავე ხაზის მებრძოლებთან ერთად სუფოდა მტერზე გამარჯვებას. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე რესპუბლიკური და საქალაქო პრესის მუშაკები, რომლებიც წერენ სამხედრო-პატრიოტული თემატიკის საკითხებზე.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სექციის თავმჯდომარემ ვ. სოროკინმა ილაპარაკა ომის წლებში გამომავალი სამხედრო გაზეთების როლზე, სამხედ-

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

(გალის რაიონის სოფელ ოქუმის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ახალგაზრდა მონაწილე, კომკავშირელი ᲓᲐᲚᲘ ᲙᲝᲬᲨᲐᲕᲐ).

Შ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ᲓᲜᲔᲞᲠᲖᲔ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ ᲐᲭᲔᲚᲠᲓᲔᲑᲐ

ᲙᲘᲔᲕᲘ. (საკადრო). წაბლის ყვავილი და ღორი, რომლებიც გარშემოვლებულია ქვეყნის ყველა მომე რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით — ხელოვნების ფესტივალის „კიევის გაზაფხულის“ ეს ემბლემა ორგანულად შეერწყა უკრაინის დედაქალაქის მწვანე სამოსელს. ხელოვნების პოპულარული დღესასწაული, რომელიც დნეპრის გმირ ქალაქში გაიმართება, ეძღვნება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის მიღწევათა ამ დათვალიერებაში, რომელიც 29 მაისამდე გასტანს, მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის ცნობილი კოლექტივები და შემსრულებლები. წლევანდელი ფესტივალისათვის მუსიკალური საჩუქრები მოამზადეს ლენინგრადის დ. შოსტაკოვიჩის სახელობის ფილარმონიის აკადემიურმა სიმფონიურმა ორკესტრმა, მოსკოვის კამერულმა ორკესტრმა, რუსუბლიკის ა. ა. იურლოვის სახელობის რუსულმა აკადემიურმა საგუნდო კაპელამ, ომსკის რუსულმა ხალხურმა გუნდმა, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა, მოსკონცერტის არფების კვარტეტმა.

ფესტივალის მონაწილეები გამოვლენ კიევის საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში, კონცერტებს გამართავენ ქარხნების საამქროებსა და სოფლის კლუბებში.

ᲛᲐᲓᲠᲘᲙᲘ

ᲛᲐᲢᲠᲘ ᲡᲐᲬᲘᲜᲝᲓ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜ ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ დაიხურა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ნახევარფინალური ტურნირი, სადაც ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲭᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲡᲪᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ.

სადამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ფირცხალავამ. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თამარ სტრანდსტრემმა გააუქმა მატჩის მსვლელობა და აღნიშნა, რომ ნორჩმა პრეტენდენტმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. მან დიდი მადლობა გადაუხადა შეჯიბრების ორგანიზატორებს, მოჭადრაკეებს, მათ სკეტნდანტებს და მსაჯებს.

მაია ჩიბურდანიძეს მიუღია შშობლიური სკოლის — თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

დასასრულ გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი მაია ჩიბურდანიძე, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ᲧᲐᲘᲛᲘ ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ მიმდინარე ლემაჩკოს (ბულგარეთი) და ახმილოვსკაიას (სსრ კავშირი) მატჩის მეტუთე პარტია 57-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 3:2 ახმილოვსკაიას სასარგებლოდ.

ᲚᲐᲡ-ᲞᲐᲚᲜᲐᲡᲨᲘ

ᲚᲐᲡ-ᲞᲐᲚᲜᲐᲡᲘᲡ (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირის მორაგე მეცხრე ტურში მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი შავებით ეთამაშებოდა დიდოსტატ ლარსენს (დანია). შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ახლა კარპოვს 9 თამაშიდან 8 ქულა აქვს (7 მოგება, 2 ყაიმი) და მტკიცედ ლიდერობს.

ლიდერს ერთნახევარი ქულით ჩამორჩებიან ტალი და დიდოსტატი ტიმანი (ჰოლანდია).

ᲪᲘᲠᲐ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ გრძელდება საქართველოს პირველობა ჭადრაკში გაეთა შორის. მონაწილეებმა უკვე გაიარეს ტურნირის პირველი ნახევარი. ზ. სტურუასა და ს. ლაპეტიანს (ორივე — თბილისი) ექვს-ექვსი ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია აქვთ. დ. გედევანიშვილს (თბილისი) — 5,5, მ. არნაბაძეს (სამტრედია) და კ. ჩიგოგიძეს (თბილისი) — ხუთ-ხუთი და თითო გადადებული პარტია.

რ. ᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ ქუთაისში გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი დგელობრივ „ტორპედოსა“ და როსტოვის სკა-ს შორის.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა. ეს ერთადერთი ბერთი პირველი ტაიმის დასასრულს გაიტანა ქვირიან.

ტორპედოელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: ქვირაია, შელია, სულაქველიძე, სარიშვილი (შეეცოცი), მელიქია, ოქროპირაშვილი, ფარულავა, ქვირია, ბურკაძე, ფესტვენიძე (ფოლკოვი), გაბიჩვაძე.

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲣᲢᲡᲐᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ საქართველოს პირველობის (პირველი ჯგუფი) ლიდერმა გალის „მეხიერმა“ მე-13 ტურში მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხა ონაჩარის „ამირანი“ და 23 ქულით კვლავ სათავეში უდგას გათამაშებას, მათ 10 მოგება და 3 ფრე აქვთ, ბურთების სხვაობაა 17-3.

ლიდერს 6 ქულით ჩამორჩებიან ყვარელის „დურუჯი“ და სარხეთის „იბერია“.

ᲩᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲯᲘᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ 1961 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ — ᲣᲙᲕᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲡᲐᲯᲘ ᲔᲣᲮᲝᲕᲔᲒᲐ ᲡᲐᲡᲢᲕᲔᲜᲔᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ და უნგრეთის ნაკრებთა მატჩის დღეს თბილისის ᲒᲘ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ სახელობის „დინამოს“ სტადიონზე სპორტის მოყვარულებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა დიდი ფუხბურთიდან საზეიმოდ გაეცილეს ცნობილი ქართველი არბიტრი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კარლო ყრუაშვილი, რომელსაც 50 წელი შეუსრულდა.

კ. ყრუაშვილი მსაჯის სასტვენით პირველად 1950 წელს გამოვიდა, ოთხი წლის შემდეგ საკავშირო მატ-

ᲩᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲯᲘᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ 1961 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ — ᲣᲙᲕᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

იგი 10-ჯერ შედიოდა სსრ კავშირის 10 საუკეთესო მსაჯთა სიაში, დაჯილდოებულია ვერცხლისა და ოქროს საკავშირო მედლებით, რომლებიც მსაჯებს გადაეცემათ უსაღლესი ლიგის 80 და 100 მატჩის ჩატარებისათვის.

კ. ყრუაშვილს უმაჯია უეფა-ს მატჩებშიც, სუნ მას ჩატარებული აქვს ათასამდე შეხვედრა.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲗ: კ. ᲧᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ.

Შ. ᲙᲘᲠᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜ უკვე ვიუწყებოდით ფეხბურთში მეორე ლიგის მეთოხე ზონის საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩის ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ შესახებ (თბილისის „სპარტაკი“ — ბათუმის „დინამო“ — 1:0).

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების შედეგებიც ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით: ლენინაკანის „შირაქი“ — გორის „დილა“ — 3:1, კიროვაბადის „პროგრესი“ — ზუგდიდის „დინამო“ — 3:1, სოხუმის „დინამო“ — მაიკოპის „დრუბა“ — 0:0, სამტრედიის „ლოკომოტივი“ — ნალჩიკის „სპარტაკი“ — 0:1, ლანჩხუთის „გურია“ — მახაჩკალის „დინამო“ — 3:1.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებმა აშშ-ი კიდევ რამდენიმე მატჩი გამართა. რიჩმონდში მან წააგო ინდიანისა და კენტუკის შტატების ნაკრებთან — 73:102, ტოლედოში — მიჩიგანის შტატის ნაკრებთან — 89:97, ანდერსონში და ლუისვილში ეი სპლიტა კენტუკისა და ინდიანის შტატების ნაკრებს—120:114 და 97:94. ბოლო ორ შეხვედრაში თბილისელმა ნ. დერიუგინმა 59 ქულა შესძინა გუნდს.

ᲧᲕᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. საკავშირო ჩემპიონატზე ᲧᲓᲐᲜᲝᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ ᲘᲦᲘᲡᲘᲗ უძლიერესი გუნდი, რომლებიც შემოდგომაზე განაგრძობენ ბრძოლას ოქროს მედლებისათვის. აი ისინიც: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოსკოვისა და ბაკოს მეზღვაურთა გუნდები, კიევისა და ალმა-ათის „დინამო“, ტაშკენტის „შეხტატი“. სამწუხაროდ, მათ შორის არ არის თბილისის „დინამო“.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. გამარჯვებით დაიწყეს საბჭოთა ფეხბურთელებმა უეფა-ს ტურნირი — ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატი იუნიორთა შორის. ჩვენმა გუნდმა ბელგიის ქალაქ ბრიუგეში პირველი შესარჩევი მატჩი მოუგო ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს — 1:0. ბურთი თამაშის 27-ე წუთზე გაიტანა კიეველმა ტარანმა.

ᲢᲐᲜᲖᲐᲠᲬᲘᲜᲘ. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (აიპს) ტრადიციული პრიზი — „ᲬᲣᲗᲘᲡᲪᲘᲚᲘ რტო“ გადაეცა მილანში, სადაც მიმდინარეობს აიპს-ის კონგრესი, 1976 წლის ახსოლუტურ ოლიმპიურ ჩემპიონს, რუმინელ ტანმოვარჯიშეს ნადია კომანეჩის. ამ პრიზს ტრადიციულად გადასცემენ გასული წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალს ან ვაჟს.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ლენინგრადელმა ელადიმერ ოსოკინმა გაიმარჯვა მშვიდობის 30-ე საიუბილეო ველორბოლის მე-11 ეტაპზე (მლადა — ბოლესლავი — ლაბის უსტი), რომლის სიგრძეა 147 კილომეტრი — 3 საათი, 24 წუთი და 28 წამი. ეს მისი მესამე წარმატებაა ამ რბოლაში. გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არის საბჭოთა ნაკრები, ინდივიდუალურში — ტარტუელი აავო პიკუუსი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲗ: საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალი საცურაო აუზი.

გ. სანაიას ფოტო.

ᲡᲝᲩᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲠᲝᲚᲔᲗᲨᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲐᲜᲝᲑᲐᲓᲘᲡᲐ „დინამოს“ სასრულეთზე გუმისთაში, სოხუმის მახლობლად მიმდინარეობს ტრადიციული შეჯიბრება ტყვიის სროლაში გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზზე. ეს შეჯიბრება, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება, ამჯერად მესამეჯერ იმართება.

ცეცხლის ხაზზე გამოდიან უძლიერესი ოსტატები გდრ-იდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გფრ-დან, კუბიდან, იტალიიდან და სსრ კავშირიდან. ჩვენს გუნდს სათავეში უდგას ოლიმპიური ჩემპიონი ა. გაზოვი.

პირველად მოასპარეზენი ერთმანეთს შეეჯიბრნენ ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში 50 მეტრზე. უძლიერესი იყო ევროპის ჩემპიონი, ლენინგრადელი ა. ეგრეშჩინი — 568 ქულა. ბერრე და მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს აგრეთვე საბჭოთა ხსროელებმა ვ. პეტროვმა და გ. ზაპოლსკიხმა. სოხუმელმა მ. პაპავამ მეოთხე შედეგი აჩვენა.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲣᲢᲡᲐᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ საქართველოს პირველობის (პირველი ჯგუფი) ლიდერმა გალის „მეხიერმა“ მე-13 ტურში მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხა ონაჩარის „ამირანი“ და 23 ქულით კვლავ სათავეში უდგას გათამაშებას, მათ 10 მოგება და 3 ფრე აქვთ, ბურთების სხვაობაა 17-3.

ლიდერს 6 ქულით ჩამორჩებიან ყვარელის „დურუჯი“ და სარხეთის „იბერია“.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ შრომის წითელი დროშის ორდენოსან ᲒᲘ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საზეიმოდ გაიხსნა 25-მეტრიანი ნაცურაო აუზი. აქვეა საკმაო კაბინეტი, მწვრთნელთა ოთახები.

აუზის გახსნაზე მოვიდნენ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების, სპორტულ საზოგადოებათა წარმომადგენლები.

სტუდენტ სპორტსმენებს აუზის ვაზსნა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა ა. ძიძიგურამა.

შემდეგ უნივერსიტეტის, ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტებმა და „ბურევესტნიკის“ ბავშვთა სპორტსკოლის მოსწავლეებმა მოაწყეს საჩვენებელი გაცურვები 100 მეტრზე (თავისუფალი სტილით) და კომბინირებულ ამანაოცურვაში. გაიმართა აგრეთვე ამხანაგური შეხვედრები წყალბურთში.

თ. ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲣᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲗ: საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალი საცურაო აუზი.

გ. სანაიას ფოტო.

ᲛᲡᲐᲯᲘ ᲔᲣᲮᲝᲕᲔᲒᲐ ᲡᲐᲡᲢᲕᲔᲜᲔᲡ

სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებთა მატჩის დღეს თბილისის გ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე სპორტის მოყვარულებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა დიდი ფუხბურთიდან საზეიმოდ გაეცილეს ცნობილი ქართველი არბიტრი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კარლო ყრუაშვილი, რომელსაც 50 წელი შეუსრულდა.

კ. ყრუაშვილი მსაჯის სასტვენით პირველად 1950 წელს გამოვიდა, ოთხი წლის შემდეგ საკავშირო მატ-

ᲩᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲯᲘᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ 1961 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ — ᲣᲙᲕᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

იგი 10-ჯერ შედიოდა სსრ კავშირის 10 საუკეთესო მსაჯთა სიაში, დაჯილდოებულია ვერცხლისა და ოქროს საკავშირო მედლებით, რომლებიც მსაჯებს გადაეცემათ უსაღლესი ლიგის 80 და 100 მატჩის ჩატარებისათვის.

კ. ყრუაშვილს უმაჯია უეფა-ს მატჩებშიც, სუნ მას ჩატარებული აქვს ათასამდე შეხვედრა.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲗ: კ. ᲧᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ.

Შ. ᲙᲘᲠᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜ უკვე ვიუწყებოდით ფეხბურთში მეორე ლიგის მეთოხე ზონის საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩის ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ შესახებ (თბილისის „სპარტაკი“ — ბათუმის „დინამო“ — 1:0).

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების შედეგებიც ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით: ლენინაკანის „შირაქი“ — გორის „დილა“ — 3:1, კიროვაბადის „პროგრესი“ — ზუგდიდის „დინამო“ — 3:1, სოხუმის „დინამო“ — მაიკოპის „დრუბა“ — 0:0, სამტრედიის „ლოკომოტივი“ — ნალჩიკის „სპარტაკი“ — 0:1, ლანჩხუთის „გურია“ — მახაჩკალის „დინამო“ — 3:1.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებმა აშშ-ი კიდევ რამდენიმე მატჩი გამართა. რიჩმონდში მან წააგო ინდიანისა და კენტუკის შტატების ნაკრებთან — 73:102, ტოლედოში — მიჩიგანის შტატის ნაკრებთან — 89:97, ანდერსონში და ლუისვილში ეი ესლეა კენტუკისა და ინდიანის შტატების ნაკრებს—120:114 და 97:94. ბოლო ორ შეხვედრაში თბილისელმა ნ. დერიუგინმა 59 ქულა შესძინა გუნდს.

ᲧᲕᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. საკავშირო ჩემპიონატზე ᲧᲓᲐᲜᲝᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ ᲘᲦᲘᲡᲘᲗ უძლიერესი გუნდი, რომლებიც შემოდგომაზე განაგრძობენ ბრძოლას ოქროს მედლებისათვის. აი ისინიც: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოსკოვისა და ბაკოს მეზღვაურთა გუნდები, კიევისა და ალმა-ათის „დინამო“, ტაშკენტის „შეხტატი“. სამწუხაროდ, მათ შორის არ არის თბილისის „დინამო“.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. გამარჯვებით დაიწყეს საბჭოთა ფეხბურთელებმა უეფა-ს ტურნირი — ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატი იუნიორთა შორის. ჩვენმა გუნდმა ბელგიის ქალაქ ბრიუგეში პირველი შესარჩევი მატჩი მოუგო ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს — 1:0. ბურთი თამაშის 27-ე წუთზე გაიტანა კიეველმა ტარანმა.

ᲢᲐᲜᲖᲐᲠᲬᲘᲜᲘ. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (აიპს) ტრადიციული პრიზი — „ᲬᲣᲗᲘᲡᲪᲘᲚᲘ რტო“ გადაეცა მილანში, სადაც მიმდინარეობს აიპს-ის კონგრესი, 1976 წლის ახსოლუტურ ოლიმპიურ ჩემპიონს, რუმინელ ტანმოვარჯიშეს ნადია კომანეჩის. ამ პრიზს ტრადიციულად გადასცემენ გასული წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალს ან ვაჟს.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ლენინგრადელმა ელადიმერ ოსოკინმა გაიმარჯვა მშვიდობის 30-ე საიუბილეო ველორბოლის მე-11 ეტაპზე (მლადა — ბოლესლავი — ლაბის უსტი), რომლის სიგრძეა 147 კილომეტრი — 3 საათი, 24 წუთი და 28 წამი. ეს მისი მესამე წარმატებაა ამ რბოლაში. გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არის საბჭოთა ნაკრები, ინდივიდუალურში — ტარტუელი აავო პიკუუსი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲗ: საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალი საცურაო აუზი.

გ. სანაიას ფოტო.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ

ᲐᲮᲚᲝ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲔᲫ